MES 1 22 0000928355

22/08/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 08.08.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:05 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტ სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ანზორ ბერიძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
4. **ირინა გველესიანი -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. **ირინა ლობჟანიძე -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
6. **ლევან მოსახლიშვილი** - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
7. **თეა მჭედლური -** სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს „ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
9. **თამარ სირაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;

10. **დავით ტეფნაძე -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
11. **ეკატერინე შაკიაშვილი -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
12. **დავით ჩოჩიშვილი -** სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
13. **ნინო ჭალაგანიძე -** შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
14. **გურანდა ჭელიძე -** შპს "კავკასიის უნივერსიტეტის“ პროფესორი;
15. **ერეკლე ასტახიშვილი -** შპს "თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის" პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
16. **ხათუნა თოდაძე -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**გვანცა ძიძიგური**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
2	**ანა ქოიავა**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
3	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხისუზრუნველყოფისსამსახურის კოორდინატორი
4	**თინათინ ბაჯელიძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
5	**ანი ბილანიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	პოზიცია	საკითხი
1	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I
2	თამარ ლომინაძე		ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი	
3	თინათინ კაიშაური		ინფორმატიკისა და მართვის სისტემების	

			ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	
4	ლილი პეტრიაშვილი		„კომპიუტერული მეცნიერების“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	
5	ზურაბ მოდებაძე		„კომპიუტერული მეცნიერების“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	
6	გია სურგულაძე		პროფესორი	
7	ნუგზარ ამილახვარი		პროფესორი	
8	მაია ჭიჭილეიშვილი	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	პროფესორი, ბხსუ-ს რექტორი	II
9	ქეთევან ვაჩეიშვილი		პროფესორი, ბხსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
10	თამარ ძველაია		პროგრამის ხელმძღვანელი, მოწვეული სპეციალისტი	
11	ხათუნა მანაგაძე		პროგრამის ხელმძღვანელი, მუსიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი	
12	ნინო დობორჯგინიძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, რექტორი	III
13	ნინო მატარაძე		ასოცირებული პროფესორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი	
14	თინათინ მარგალიტაძე		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	
15	ნინო ჟვანია		ხარისხის უზრუნველყოფის სამასხურის უფროსი	
16	მაკა ლაშხია		ასოცირებული პროფესორი,	

			მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
17	თამარ გეთიაშვილი		მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი	
18	დავით ჯალაღონია	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	IV
19	ირმა დიხამინჯია		ასოცირებული პროფესორი, ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერენათა ფაკულტეტის დეკანი	
20	რომეო გალდავა		ასოცირებული პროფესორი, უნივერსიტეტისხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
21	დავით თოფურია	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის დეკანი	V
22	პირდარა ნოზაძე		მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
23	ლეილა აწყვერელი		დიპლომირებული სტომატოლოგის რუსულენოვანი პროგრამის ხელმძღვანელი	
24	სამსონ (სოსო) მღებრიშვილი		სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანი	
25	ირინე კვაჭაძე		თსსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	
26	პაატა გოგიშვილი	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის	ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი	VI, VII

27	ლიკა გიორგაძე	ქართული უნივერსიტეტი	პრორექტორი	
28	დავით ბოსტოღანაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	
29	პაპუნა გურული		ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დეკანი	

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	მანანა ხაჩიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	მიხეილ რუხაია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	მარინე ხიზანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	თინათინ გაბრიჩიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	შალვა მესხი	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
6	რუსუდან თაყაიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ქეთევან თოდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	ირინე დარჩია	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	ელისო ფანცხავა	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	თამარ გვიანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
11	ანა მჭედლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
12	დავით სიხარულიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
13	ნათია დაღელიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
14	ვლადიმერ მარგველაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
15	ნინო წილოსანი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
16	თამარ ლომიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
17	თინათინ გაბრიჩიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
18	ეკატერინე ბუაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
19	ნინო მესხიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI, VII
20	მაკა კარტოზია	(ჩაერთო „ზუმით“)	VI, VII

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლეკსიკოგრაფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
7. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
2. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლეკსიკოგრაფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4.სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
7. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

1.პირველი საკითხი : სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერება /Computer Science
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სასწავლო კორპუსი N6, მ. კოსტავას ქ. N 77, თბილისი, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა - ეკატერინე შაკიაშვილი

საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირიმოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა აღნიშნა, რომ პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეირჩა ჯგუფი, რომელმაც უნივერსიტეტში ვიზიტი განახორციელა 2022 წლის 14 ივნისს, ჯგუფის მოსამზადებელი შეხვედრა განხორციელდა 2022 წლის 12 ივნისს, რომლის დროსაც მოხდა პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეჯერება. 2022 წლის 14 ივნისს ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფის უნივერსიტეტში ვიზიტით. გაიმართა შეხვედრები: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ასევე, განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება: ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორიები, აუდიტორიები. ვიზიტის დასასრულს უნივერსიტეტის წარმომადგენლებს წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები. სამუშაო შეხვედრები მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა – მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა – ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1. მოხდეს პროგრამის მიზნების მიღწევისათვის აუცილებელი დისციპლინების მოცულობის გაზრდა პროგრამაში;
2. სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების“ უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელის შესაბამისად;
3. სწავლის შედეგების რუკაში შემცირდეს თითოეულ შედეგის შეფასებაზე განსაზღვრული საგნების ჩამონათვალი და შეირჩეს სწავლების დონის შესაბამისად (მხოლოდ დარგობრივი ძირითადი საგნებით);
4. სწავლის შედეგების შეფასებისათვის თითოეული შერჩეული საგნისათვის გამოიყოს ცოდნის შეფასების მეთოდი, რომელიც აღწერს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევადობას;
5. პროგრამაში გაიზარდოს ალგორითმების, მონაცემთა სტრუქტურების, კომპიუტერის არქიტექტურის შესაბამისი საგნების ხვედრითი წილი ახალი საგნების დამატებით ან არსებული საგნების კრედიტების მოცულობის გაზრდით (იმ საკითხების გაღრმავებით რაც

აღწერილია საერთაშორისო სტანდარტებში acm.org); დაემატოს საგნები ალგორითმების, მონაცემთა სტრუქტურების, დაპროგრამების პარადიგმების მიმართულებით;

6. ინგლისური ენა დაემატოს როგორც სავალდებულო კომპონენტი;

7. საგანი „კომპიუტერის არქიტექტურა და ორგანიზაცია' გაძლიერდეს შინაარსობრივად კონცეპტუალური საკითხებით და გადანაცვლდეს მაღალ სემესტრში ან დაემატოს ამ მიმართულების გაღრმავებული საკითხების მომცველი ახალი საგანი;

8. გაერთიანდეს მე-4 სემესტრის საგანი "ვებ ტექნოლოგიების საფუძვლები" და მე-7 სემესტრის არჩევითი საგანი "ვებ დაპროგრამება (HTML5, CSS3)" და დაერქვას "ვებ ტექნოლოგიების საფუძვლები";

9. ცალკე (არჩევით) სასწავლო კურსად დაემატოს "კომპიუტერული გრაფიკა და დიზაინი", რომელშიც განხილული იქნება რასტრული და ვექტორული გრაფიკა. მაგალითისთვის, photoshop, illustrator, ასევე sketch, figma.adobe XD-დან რომელიმე;

10. თავისუფალ კომპონენტად წარმოდგენილ საგანს "კომპიუტერული გრაფიკა და დიზაინი" გადაერქვას სახელი და დაერქვას "კომპიუტერული გრაფიკა და დიზაინი (autocag, autodesk)";

11. ყველა სილაბუსში თემატიკის მოცულობა მოვიდეს შესაბამისობაში განკუთვნილი კრედიტებით განსაზღვრული საათების რაოდენობასთან (როგორც საკონტაქტო ასევე დამოუკიდებელი);

12. ხარისხის კულტურის გაზრდის მიზნით უზრუნველყოფილ იქნეს დაინტერესებული მხარეების, განსაკუთრებით პროგრამის განმახორციელებელი აკადემიურ პერსონალის, აქტიური ჩაერთულობა საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესებში. აღნიშნული ვალდებულება გაწერილია არსებული მექანიზმებით, თუმცა მნიშვნელოვანია მისი რეალიზება კონკრეტული ქმედებებით;

13. მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ეფექტიანად იქნეს გამოყენებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესში, რათა ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ ექსპერტებთან დამაზუსტებელი შეკითვის სახით აღნიშნა, რომ დასკვნაში მოცემულია პროგრამის დასახელებასთან დაკავშირებით რჩევა, ასევე გვხვდება რეკომენდაციები ამ მიმართულებით, და მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს საკითხის შეფასებისა და დაზუსტებისკენ, კონკრეტულად რა მოცულობისაა და რა პერიოდში შეიძლება გამოსწორება. ასევე საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ თუკი საბოლოოდ პროგრამა იქნება კომპიუტერული მეცნიერების მიმართულებით რამდენად არის გასაძლიერებელი ის საგნები, რაც ექსპერტებმა ძირითადად განიხილეს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ როდესაც ხდება ხარისხის მინიჭება კომპიუტერულ მეცნიერებებში აუცილებელია ძირითადი სასწავლო კურსები მოიცავდეს აუცილებელ საკითხებს. დაწესებულებამ წარმოადგინა საგნების სია, სადაც ხდება მაგალითად ალგორითმების სწავლება, თუმცა არ ხდება იმ შუალედური რგოლის სწავლება, რომელსაც სტუდენტი ალგორითმების შინაარსის გაგებამდე მიჰყავს. ამიტომ ის მთავარი ჩონჩხი, რაც აუცილებელია კომპუტერული მეცნიერებისათვის პროგრამაში სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი. ამასთან რაც შეეხება სახელწოდებას, პროგრამა აქცენტს აკეთებს მონაცემებსა და მათ დამუშავებაზე, შესაბამისად, სახელწოდებაშიც უნდა ჩანდეს აღნიშნული. პროგრამა მრავალფეროვანია, მაგრამ ერთი რომელიმე საკითხი სიღრმისეულად არ ისწავლება. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ სილაბუსში საკმაოდ დიდი მასალაა მოცემული, რისი გაცნობაც და სიღრმისეულად წაკითხვაც ფიზიკურად შეუძლებელია. მოცემულ შემთხვევაში ან უნდა მოხდეს კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებით პროგრამის გაძლიერება ან უნდა განხორციელდეს სახელწოდების ცვლილება.

ექსპერტმა, ასევე, განმარტა, რომ პროგრამაში წარმოდგენილი ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის (ძირითადი და არჩევითი) სწავლის შედეგები მეტწილად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ეს ინფორმაცია ასახულია პროგრამის სწავლის შედეგების რუკაზე. თუმცა რიგი საგნები (ალგორითმების, მონაცემთა სტრუქტურების, კომპიუტერის არქიტექტურის, დაპროგრამების პარადიმების მიმართულება) შინაარსიდან გამომდინარე არასაკმარისია გაცხადებული მიზნების და შედგეგების (რომლებიც ასევე დასაკორექტირებელია) მისაღწევად. აცდენაა საგნების სათაურსა და შინაარსს შორის („შესავალი ინფორმაციულ ტექნოლოგიებში“ - შეესაბამება კომპიუტერულ წიგნიერებას, “მონაცემთა ბაზების სისტემების საფუძველი“ - მეტწილად წარმოადგენს SQL-ენას, „კომპიუტერის არქიტექტურა და ორგანიზაცია“ - კომპიუტერის ტექნიკური უზრუნველყოფაა და საერთოდ არ შეიცავს არქიტექტურად მიღებულ რიგ სავალდებულო თემებს). არაა გათვალისწინებული რიგი საგნების შესასწავლად აუცილებელი ცოდნის მიწოდების შესაძლებლობა სხვა სასწავლო კურსის წინაპირობად განსაზღვრით (თუ არსებობს) ან დამატებით. ასე მაგალითად: სასწავლო პროგრამაში არ არსებობს რასტრული და ვექტორული გრაფიკის სასწავლო კურსი, რომელშიც სტუდენტები გაეცნობიან ისეთ პროგრამულ უზრუნველყოფას, როგორიცაა photoshop, illustrator, sketch, figma.adobe XD. ეს პროგრამული უზრუნველყოფა უშუალოდ ვებს უკავშირდება.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს ესაუბრათ მე-10 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ, რამდენად იქნება რეკომენდაციის ფარგლებში შემოთავაზებული ახალი სახელწოდება შესაბამისობაში სილაბუსის და კურსის შინაარსთან, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ AutoCAD-სა და AutoDesk-ს, არამედ სხვა პროგრამულ უზრუნველყოფასაც
ქსპერტთა ჯგუფის წევრმა, მარინა ხიზანიშვილმა აღნინულ საკითხთან განაცახდა, რომ აღნიშნული სასწავლო კურსი არის თავისუფალი კრედიტები ფარგლებში შეთავაზებული, რომელსაც ჰქვია “კომპიუტერული გრაფიკა და დიზაინი”, თუმცა აღნიშნული კურსი განკუთვნილია, უფრო ვებ-დიზავნის სპეცოალისტებისათის და სწორედ ამან გამოიწვია მეორე რეკომენდაციის გაცენის აუცილებლობაც, რომ დაემატოს კონპიუტერული გრაფიკა, ვექტორული გრაფიკა, “adobe” პაკეტები, “illustrator”, “photoshop”. ღნიშნული რეკომენდაციის მიზანი იყო, უფრო ნათელი გახდეს თუ რას აწსწავლიან “კომპიუტერული გფაფიკის დიზანის” სასწავლო კურსით და გაიმიჯნოს და მიეთითოს, რომ ეს სასწავლო კურსი არის უფრო არქიტექტორის სტუდენტებისათვის და არა კომპიუტერული მეცნიერების მიმართულების სტუდენტებისათვის, აც ასევე კარგად ჩანს სასწავლო კუსრსის მიზნებში.
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა მიმართა ექსპერტთა ჯგუფს და სთხოვა დაეზისტებინათ დაახლოებით რამდენი პროცენტით არის თანხვედრაში დარგობრივ მახასიათებელთან პროგრამა. ამასთან, საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა არსებობს თუ არა სწავლის შედეგების შეფასების რაიმე რისკი.
ქსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მანანა ხაჩიძემ მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში წარმოდგენილი რუკა მოიცავს კურიკულუმში აღწერილ ყველა დისციპლინას, მათ შორის, არადარგობრივ და არჩევით საგნებსაც. ღნიშნული კი არ შეიძლება ჩაითვალოს სწავლის შედეგების მიღწევადობის მაჩვენებლად. ასევე ვერ განსაზღვრავს სწავლის შედეგის მიღწევადობას პირველი წლის შესაბამისი (საწყისი) კურსები. გარდა ამისა თითოეული სწავლის შედეგის შესაფასებლად გამოყენებული დისციპლინები ძალზედ ბევრია (რაც ეწინააღმდეგება უშუალოდ უნივერსიტეტის შესაბამის დოკუმეტში გაწერილ დებულებას „რუკაზე ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, თუ რამდენი სასწავლო კურსი ავითარებს პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგს და დადგინდეს, რამდენად ადეკვატურია ეს რაოდენობა; ზედმეტად ბევრი სასწავლო კურსი ხომ არ ავითარებს ერთსა და იმავე სწავლის შედეგს ან პირიქით“) და არაა გამოკვეთილი თითოეულ საგანში კონკრეტულად შეფასების

რომელი მეთოდი აფასებს რომელ შედეგს. მკაფიოდ არაა განსაზღვრული სწავლის ბოლო შედეგი რა შემთხვევაში ჩაითვლება მიღწეულად როცა ამ შედეგს აფასებს არანაკლებ 5 საგანი, მითუმეტეს როდესაც იგივე საგნები აფასებენ სხვა შედეგსაც. რაც შეეხება თანხვედრას კლასიფიკატორთან აღნიშნული არის 50%-ზე ნაკლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროგრამის მიზნების მიღწევადობა ხორციელდება კომპიუტერული მეცნიერებების ყველა მიმართულების ცოდნის მიღებით და პრაქტიკული უნარების გამომუშავებით, სადაც უზრუნველყოფილია კომპიუტერულ მეცნიერებებთან დაკავშირებულ საბაზო პრინციპებისა და მეთოდების ფართო ცოდნის მიღება, სოციალურ-ეკონომიკური და ეთიკური ასპექტების თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ ჭრილში. პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსები, რომელიც სტუდენტს აძლევს ალგორითმების და მათი ეფექტური გამოყენებისთვის საჭირო თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, დაპროგრამების ენების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, საინფორმაციო სისტემების, აპარატურულ ტექნიკური მოწყობილობების და ა.შ. პროგრამა სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას მიიღოს შესაბამისი ცოდნა და კომპეტენცია საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეექვს დონის შესაბამისად. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტები რამდენიმე სასწავლო კურსში სწავლობენ პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გადაწყვეტის ძებნის ალგორითმებს, შესაძლებლად მიგვაჩნია სასწავლო კურსში „ალგორითმიზაციის საფუძვლები და დაპროგრამების ელემენტები“ საკითხების შინაარსის გაღრმავება.
რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, აღნიშნულს დაწესებულება არ ეთანხმება რომ ICT-ის დარგობრივი ცოდნის რიგი არეების პროგრამაში წარმოდგენილია მწირედ, რადგან ქვემოთ მოცემული ცხრილიდან თვალნათლივ ჩანს, რომ ICT-ის დარგობრივი ცოდნა გამყარებულია სასწავლო კურსებით, რომლებიც დეტალურად იყო აღნიშნული დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში.
საბაკალავრო პროექტის სწავლის ერთ-ერთი შედეგი: „ავლენს გუნდში მუშაობას, თანამშრომლებთან (ორგანიზაციის) საქმიან კომუნიკაციას, საკუთარი კონცეფციებისა და სტრუქტურირებული ინფორმაციის ჩამოყალიბებას და გადასცემს საქმიან გარემოში თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ანგარიშებისა და პრეზენტაციების მომზადება“ პირდაპირ შესაბამისობაშია ICTs -ის სფეროს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელ სწავლის შედეგთან: „ICTs-ის სხვადასხვა ამოცანის/პროექტის შემუშავების/განვითარების/დანერგვის პროცესში განსაზღვრავს და აკავშირებს დამკვეთისა და მომხმარებლის ინტერესებს“. ასევე სასწავლო კურსებში: ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება -1 (C++ - C#), მონაცემთა ბაზების სისტემების საფუძვლები, განაწილებული მონაცემთა ბაზების სისტემები, ბადური გამოთვლების საფუძვლები, დიდი მონაცემების შენახვა და დამუშავების სისტემა Hadoop, კომპიუტერული ქსელების ორგანიზება(CEN) და საბაკალავრო პროექტი სტუდენტთა სწავლის შედეგზე გასვლის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია პროექტის წარდგენა. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით სხვა სფეროს პროექტების განხორციელებისთვის აუცილებელ პროგრამული და ტექნიკური საშუალებების ცოდნას სტუდენტები იღებენ პროგრამაში „კომპიუტერული მეცნიერება“ მოცემულ ძირითად და არჩევით სასწავლო კურსებში. ამასთან აუცილებელი სასწავლო კურსების ზედმიწევნით სიღრმისეულად და სისტემური ცოდნის

მიღების შედეგად კურსდამთავრებული მიიღებს შესაბამის კომპეტენციებს ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების ყველა მიმართულებით. ეს მიმართულებები განისაზღვრებიან შემდეგი სავალდებულო და არჩევითი დისციპლინების ათვისებისას.
საბაკალავრო პროექტზე მუშაობისას სტუდენტი ახდენს კომპანიაში იდენტიფიცირებულ პრობლემასთან დაკავშირებული ამოცანის ჩამოყალიბებას, იგი დამატებით ეცნობა/იკვლევს ამოცანასთან დაკავშირებულ ლიტერატურას და ახორციელებს ოპტიმალური ალგორითმის ფორმირებას ეფექტური ამონახსნის და პროგრამული რეალიზებისთვის. პროექტის წარდგენისას ავლენს გავლილი სასწავლო კურსებით მიღებულ ცოდნას, შესაბამის კომპეტენციას, შემოქმედებითი და კვლევითი უნარ-ჩვევების ხარისხის შესაბამისობას საბაკალავრო პროგრამის „კომპიუტერული მეცნიერება“ კვალიფიკაციასთან. საბაკალავრო პროექტზე მუშაობისას სტუდენტი ავლენს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ იმ საბაზისო დარგობრივ ცოდნასა და უნარებს, რომელიც უკავშირდება კომპიუტერებისა და კომპიუტერული ქსელების ეთიკურ, უსაფრთხო და ეფექტურ შემუშავებას, გამოყენებას, განვითარებას. ასევე სტუდენტი გამოიმუშავებს ცოდნის კონცენტრირების, სიზუსტის, პუნქტუალობის, მიზანმიმართულების, ობიექტურობის და მაღალი პასუხისმგებლობით სამუშაოს დაგეგმვისა და ორგანიზების უნარ–ჩვევებს. იგი თანამშრომლობითი მეთოდების გამოყენებით წარმოაჩენს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების ფარგლებში მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკაში აქტიურად გამოყენებას. საბაკალავრო პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერება“ თავისი მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრისას სრულად ეყრდნობა საქართველოს ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების (ICTs) უმაღლესი განათლების I საფეხურის დარგობრივ მახასიათებლებსა და საერთაშორისო დარგობრივი პროფესიული ორგანიზაციის (ACM) რეკომენდაციებს და ყველა მიმართულება სრულფასოვნად არის წარმოდგენილი.
რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, სწავლის შედეგების რუკაში წარმოდგენილი სასწავლო კურსები სრულად ასახავს სასწავლო კურსების შედეგებს, თუმცაღა შესაძლებელია დავეთანხმოთ ექსპერტთა რეკომენდაციას და სტუდენტებისთვის უფრო ნათელი, რომ იყოს, შეირჩევა მხოლოდ დარგობრივი ძირითადი საგნები.
მნიშვნელოვანია, ასევე, მე-5 რეკომენდაცია, კერძოდ, სასწავლო კურსში „ალგორითმიზაციის საფუძვლები და დაპროგრამების ელემენტები“ მოხდება განხილული საკითხების გაღრმავება. ამავდროულად გასათვალისწინებელია, რომ პროგრამაში არის სასწავლო კურსები, რომელთა შინაარსში ფართოდ არის წარმოდგენილი პრობლემათა ოპტიმალური გადაჭრისთვის საჭირო ალგორითმის შერჩევისა და ფორმირების თეორიულ - პრაქტიკული საკითხები.
დაწესებულება არ იზიარებს ექსპერტთა მე-9 რეკომენდაციას, რადგან სასწავლო კურსი “კომპიუტერული გრაფიკა და დიზაინი”, პროგრამაში „კომპიუტერული მეცნიერება“ საკმარისად მისცემს სტუდენტს კომპეტენციას საჭირო გრაფიკული უნარების გამომუშავებისთვის.
რაც შეეხება მე-10 რეკომენდაციას, თავისუფალ კომპონენტად წარმოდგენილ საგანი “კომპიუტერული გრაფიკა და დიზაინი” სტუდენტებს აძლევს საფუძველს თანამედროვე კომპიუტერული გრაფიკული პაკეტების გამოყენების თვალსაზრისით, რათა სტუდენტები დაეუფლონ პროფესიულად ორიენტირებულ, კომპიუტერულ გეომეტრიულ მოდელებს, მათ შორის საინჟინრო ნახაზების შექმნის ძირითად უნარებს, რის საფუძველზეც ითვისებენ თანამედროვე კომპიუტერული გრაფიკის დიზაინის ტექნოლოგიებს, გამოიმუშავებენ კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების უნარებს გარემოს, საგნებისა და ობიექტების დასაპროექტებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე, მხოლოდ ორი პროგრამული პაკეტი autocad, autodesk, ვფიქრობთ ზღუდავს სასწავლო კურსის შინაარსის განვითარებისა და გაფართოების შესაძლებლობას.

მე-11 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, აუცილებელია, აღინიშნოს, რომ კრედიტების საათებში გადაყვანის დროს დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, რაც აუცილებლად გასწორდება და თემატიკის მოცულობა მოვა შესაბამისობაში განკუთვნილი კრედიტებით განსაზღვრული საათების რაოდენობასთან, რეკომენდაცია სავსებით მისაღებია.
რაც შეეხება მე-12 რეკომენდაციას, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი და დაინტერესებული მხარეები ინტენსიურად იყო ჩართული პროგრამის შემუშავებაში, რაც ასახულია შეხვედრის ოქმებში. მიუხედავად ამისა აკადემიურ პერსონალთან და დაინტერესებულ მხარეებთან, როგორც ინდივიდუალურად, ასევე, ჯგუფურად მოხდება შეხვედრების ორგანიზება და არსებითად მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა, რათა უზრუნველყოფილი იქნას ის ცოდნა და კომპეტენცია, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია საბაკალავრო პროგრამის რეალიზებისთვის.
შიდა მექანიზმებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტუ-ში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების პროცესი ეფუძნება პრინციპს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“. შემუშავებულია და დანერგილია შიდა ხარისხის განვითარების შესაბამისი მექანიზმები, პროცედურები და ინსტრუმენტები. ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, დარგის სპეციალისტებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ტარდება სამუშაო შეხვედრები, ხდება ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და ანალიზი. სისტემატურად ხორციელდება პროგრამების მონიტორინგი, აკადემიური მოსწრების ანალიზი ცალკეული კურსების მიხედვით და მის საფუძველზე ზოგადი შედეგის გამოვლენა; შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. კერძოდ, საჭიროების შემთხვევაში, გაიცემა რეკომენდაციები პროგრამებისა და სილაბუსების მოდიფიცირებისათვის. ექსპერტთა რეკომენდაციის თანახმად, დაგეგმილია დამატებით რამდენიმე სამუშაო შეხვედრის ჩატარება პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან, დარგის სპეციალისტებთან და დამსაქმებლებთან, პროგრამის გასაუმჯობესებლად და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ აღნიშნა, რომ დასკვნაში საუბარია რიგ საგნებზე, რომლებიც არის გასაძლიერებელი, მაშინ როდესაც პროგრამაში ძირითად საგნად არის წარმოდგენილი ,,შესავალი ინფორმაციულ ტექნოლოგიებში“. შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა უნდა იცოდეს, თუ არა სტუდენტმა აღნიშნული საკითხები, ანუ მინიმუმ ამ ცოდნით უნდა მოვიდეს თუ არა. ამასთან რამდენად შეესაბამება აღნიშნული კურსი პროგრამას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ თვითონ ეს საგანი, შინაარსობრივად ეხება, ძირითადად, საოფისე პროგრამების შესწავლას. პროგრამა ზუსტად ორიენტირებულია თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებზე.

ექსპერტმა აღნიშნულთან დაკავშრებით განმარტა, რომ მოცემული საგანი არის საფაკულტეტო სასწავლო კურსი, რომელსაც ყველა სწავლობს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:55
დასრულების დრო: 15:25

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-5 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5, მე-9 ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “კომპიუტერული მეცნიერების” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 3 წლის ვადით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესახღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:
1. მოხდეს პროგრამის მიზნების მიღწევისათვის აუცილებელი დისციპლინების მოცულობის გაზრდა პროგრამაში.
2.სწავლის შედეგების რუკაში შემცირდეს თითოეულ შედეგის შეფასებაზე განსაზღვრული საგნების ჩამონათვალი და შეირჩეს სწავლების დონის შესაბამისად (მხოლოდ დარგობრივი ძირითადი საგნებით);
3. სწავლის შედეგების შეფასებისათვის თითოეული შერჩეული საგნისათვის გამოიყოს ცოდნის შეფასების მეთოდი, რომელიც აღწერს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევადობას.
4. პროგრამაში გაიზარდოს ალგორითმების, მონაცემთა სტრუქტურების, კომპიუტერის არქიტექტურის შესაბამისი საგნების ხვედრითი წილი ახალი საგნების დამატებით ან არსებული საგნების კრედიტების მოცულობის გაზრდით (იმ საკითხების გაღრმავებით რაც აღწერილია საერთაშორისო სტანდარტებში acm.org);
5. ეკომენდირებულია ინგლისური ენა დაემატოს როგორც სავალდებულო კომპონენტი.
6. დაემატოს საგნები ალგორითმების, მონაცემთა სტრუქტურების, დაპროგრამების პარადიმების მიმართულებით;
7. საგანი „კომპიუტერის არქიტექტურა და ორგანიზაცია’ გაძლიერდეს შინაარსობრივად კონცეპტუალური საკითხებით და გადანაცვლდეს მაღალ სემესტრში ან დაემატოს ამ საკითხების მომცველი მაღალი საფეხურის ახალი საგანი;
8 გაერთიანდეს მე-4 სემესტრის საგანი “ვებ ტექნოლოგიების საფუძვლები” და მე-7 სემესტრის არჩევითი საგანი “ვებ დაპროგრამება (HTML5, CSS3)” და დაერქვას “ვებ ტექნოლოგიების საფუძვლები”;

9 ცალკე (არჩევით) სასწავლო კურსად დაემატოს “კომპიუტერული გრაფიკა და დიზაინი”, რომელშიც განხილული იქნება რასტრული და ვექტორული გრაფიკა. მაგალითისთვის, photoshop, illustrator, ასევე sketch, figma.adobe XD-დან რომელიმე.
10. ყველა სილაბუსში თემატიკის მოცულობა მოვიდეს შესაბამისობაში განკუთვნილი კრედიტებით განსაზღვრული საათების რაოდენობასთან (როგორც საკონტაქტო ასევე დამოუკიდებელი).
11. ხარისხის კულტურის გაზრდის მიზნით უზრუნველყოფილ იქნეს დაინტერესებული მხარეების, განსაკუთრებით პროგრამის განმახორციელებელი აკადემიურ პერსონალის, აქტიური ჩაერთულობა საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესებში. აღნიშნული ვალდებულება გაწერილია არსებული მექანიზმებით, თუმცა მნიშვნელოვანია მისი რეალიზება კონკრეტული ქმედებებით.

რჩევები:
1. სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების“ უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელის შესაბამისად;
2. პროგრამას შეეცვალოს სათაური „მონაცემების მეცნიერება“ და შემუშავდეს ამ მიმართულების შესაბამისი მოთხოვნებით;
3. მიზანშეწონილია „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში“ არსებული ჩანაწერი სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის შეფასების შესახებ დროულად მოვიდეს შესაბამისობაში „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან;
4. სასურველია ვებ-ზე ჩაშენებული მესენჯერი იყოს facebook ავტორიზაციის გარეშე

2.მეორესაკითხი : სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	-
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	დაწყებითი, საშუალო, საბაზო საფეხური მუსიკის მასწავლებელი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების	-

	მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0114 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	ზ. გორგილაძე/ვაჟა-ფშაველა19/32, ბათუმი, 6010 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება
√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო გამოგზავნილ დოკუმენტაციას, და ვიზიტამდე 2 დღით ადრე Zoom პლატფორმის მეშვეობით ცენტრის თანამშრომლის ორგანიზებით ჩატარდა შეხვედრა, სადაც გამოიკვეთა ჯგუფის წევრთა პოზიცია საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მიმართ, ასევე დაისვა შეკითხვები, რომელთა ნაწილი უნდა დაზუსტებულიყო უმაღლეს სასწავლებელში ვიზიტის დროს. ექსპერტთა ჯგუფის წევრთა შორის თავიდანვე კოლეგიალური, პოზიტიური დამოკიდებულება ჩამოყალიბდა. 17 ივნისს შედგა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში, რომელიც წინასწარ გაწერილი გრაფიკის მიხედვით წარიმართა, რამდენიმე მონაწილე Zoom-ით ჩაერთო ინტერვიუს მსვლელობაში, ზოგიერთმა მონაწილემ საპატიო მიზეზის გამო ვერ მოახერხა დასწრება. აკრედიტაციის ვიზიტი კეთილგანწყობილ, თანამშრომლობით ატმოსფეროში წარიმართა.
საგანმანათლებლო პროგრამა მუსიკის მასწავლებლის მომზადებას ისახავს მიზნად და მისი ყველა კომპონენტი ამას ემსახურება: პრაქტიკული და თეორიული ცოდნის შეჯერება, მეთოდური საფუძვლის შექმნა, ღირებულებათა და პროფესიის ხედვის სისტემის ჩამოყალიბება, კონკრეტული ქმედებებისა და აქტივობების სწავლება როგორც ზოგად პედაგოგიურ და განსაკუთრებით, ზოგადი სამუსიკო განათლების სფეროში. ვიზიტის შემდეგ გამოიკვეთა თანამედროვე ხედვის შესაბამისი მუსიკის მასწავლებლის სახე. პროგრამის აღწერილობა, სასწავლო კურსების ჩამონათვალი, სილაბუსები და პერსონალის შემადგენლობა

პოზიტიურ, დადებით წარმოდგენას ქმნის პროგრამის შესახებ, რაც დოკუმენტაციის გაცნობით, შემდეგ კი ვიზიტის დროს დადასტურდა. პროგრამის შექმნისას გათვალისწინებული იყო მომიჯნავე პროგრამის გამოცდილება, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის, შიდა და გარე შეფასების, კვლევების შედეგები. პროგრამა იყოფა პედაგოგიურ (25 კრედიტი) და საგნობრივ ბლოკებად (35 კრედიტი) და წარმოადგენს საგნის სწავლების პედაგოგიური, თეორიული და პრაქტიკული მხარეების ნაზავს. საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია ყველა სტანდარტთან. მისი მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები, მეთოდები, ასევე აკადემიური და მიწვეული პერსონალი შეესაბამება კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას. საგანმანათლებლო პროგრამის განხილვისას გამოიკვეთა ერთი რეკომენდაცია და რამდენიმე რჩევა, რისი გათვალისწინებაც დახვეწს და გააუმჯობესებს პროგრამას.

საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია ყველა სტანდარტთან. მისი მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები, მეთოდები, ასევე აკადემიური და მიწვეული პერსონალი შეესაბამება კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას. საგანმანათლებლო პროგრამის განხილვისას გამოიკვეთა რამდენიმე რჩევა და ერთი რეკომენდაცია.

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შემდეგნაირად შეფასდა:

პირველი სტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია მისაღები გამოცდების ფორმატის გამარტივება და აპლიკანტებისათვის თანაბარი პირობების შექმნა.

მისაღები გამოცდების ფორმატი გადატვირთულია, მოიცავს ორ ნაწილს - ესესა (ახლავს კრიტერიუმების ჩამონათვალი) და გაკვეთილის ჩატარებას, მათი პირობები კი უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე გამოცდებამდე რამდენიმე დღით ადრე განთავსდება. ვიზიტის დროს გაირკვა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოსალოდნელია ორი ტიპის აპლიკანტის რეგისტრაცია: 1. უმეტესობას მუსიკის მოქმედი მასწავლებლები წარმოადგენენ, რომელთა ერთ-ერთი მთავარი მოტივაცია სტატუსის კორექტირებაა 2. პირები, რომლებიც პროგრამის გავლის შედეგად გახდებიან მუსიკის მასწავლებლები. გამოცდაზე გაკვეთილის სიმულაციის მოთხოვნით, აპლიკანტთა ამ ორი ტიპის წარმომადგენლები არათანაბარ პირობებში ხვდებიან სწავლების გამოცდილების მიხედვით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დააზუტსა, თუ რამდენად რჩევის ხასიათი აქვს შინაარსობრივად დასკვნაში განსაზღვრულ რჩევებს, რადგან საკითხი ეხება როგორც ლიტერატურის საკითხებს, ასევე შეფასების.

საბჭოს წევრმა, დავით ჩოჩიშვილმა აღნიშნა, რომ პრაქტიკა პროგრამის მიხედვით ორ ნაწილად მიმდინარეობს, თუმცა მუსიკალურ სასწავლებელში პრაქტიკასთან მიმართებით არ არის გაწერილი შეფასების სისტემა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტმა განმარტა, რომ კურსის შინაარსი იმგვარად არის აგებული, რომ შესაძლებელია პედაგოგმა თავისი გამოცდილების შედეგად გაწვდეს და შეძლოს ლიტერატურაზე დაყრდნობით კურსის წარმართვა თუმცა რეკომენდირებულია უახლესი მიღწევებიც იყოს ამ კუთხით გამოყენებული. რაც შეეხება რუბრიკებს, არ არის თანმიმდევრულობა დაცული, ყველა რუბრიკა არ არის მინიშნებული ყველა დონეზე რაც უფრო ტექნიკური ხასიათის ხარვეზია, ვიდრე შინაარსობრივი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს იმ სასწავლო დისციპლინებს, რომლებიც უზრუნველყოფს დაწყებით და საბაზო სკოლის მუსიკის მასწავლებლისთვის აუცილებელი ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენას; სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მუშაობა იმ უნარების დახვეწაზე, რაც წარმოადგენს პროფესიის განმსაზღვრელ საფუძველს. დამსაქმებლების, მუსიკოს-შემსრულებლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების ჩართულობამ პროგრამის მომზადების პროცესში გამოკვეთა პროგრამის სასწავლო პროცესების სტრუქტურა. მათი მითითებების გათვალისწინებით დაიხვეწა პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსების სწავლებისა და სწავლის მეთოდიკა, შეფასების მეთოდები, სწავლის შედეგები. სასწავლო კურსების თემატიკა, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა და სხვა.
ამასთან, დასკვნაში განსაზღვრული რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნება გაკვეთილის სიმულაციის მოხსნის კომპონენტში. შეიცვლება კრიტერიუმების ჩამონათვალი, გამარტივდება მიღების წესი. შესაბამისად, ყველა აბიტურიენტი თანაბარი პირობების გათვალისწინებით დაწერს ესეს და გაივლის გასაუბრებას.
მნიშვნელოვანია ასევე, რომ სტუდენტები მემორანდუმის საფუძველზე სასწავლო პრაქტიკას გადიან ბათუმის საჯარო და სახელოვნებო სკოლებში. მუსიკის ფაკულტეტი ყოველწლიურად მონაწილეობს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და ქალაქ ბათუმის მერიის მიერ კულტურის სფეროში გამოცხადებულ საკონკურსო პროგრამებში.
რაც შეეხება პრაქტიკის ნაწილს, შეფასების ნაწილი განსაზღრულია სამუსიკო პრაქტიკის სილაბუსში, რაც გულისხმობს დირიჟორობის შესწავლას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:05
დასრულების დრო: 16:20

აბჭომ ნაწილობრივ გაიზიატა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება, კერძოდ 1.1, 1,2 და 4.3 კომპონენტები ნაცვლად "შესაბამისია მოთხოვნებთან" შეაფასა, როგორც "მეტწილად შესაბამისა მოთხოვნებთან", შესაბამისად პირველი სტანდარტის შეფასება განისაზღვრა, როგორც "მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან".

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ეთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2025 წლის 01 ივლისამდე, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:
1. დაზუსტდეს პროგრამის კურსდამავრებულთა სწავლის შემდგომი გაგრძელების შესაძლებლობები;
2. დოკუმენტალურად შეიქმნას შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტი;
3. რეკომენდირებულია პრაქტიკის ობიექტებთან მემორანდუმებში დაზუსტდეს სტუდენტთა რაოდენობები ;

რჩევები:
1. სასურველია მისაღები გამოცდების ფორმაში ინფორმაციის განთავსება კონსულტაციების შესახებ;
2. სასურველია ფორტეპიანოსთან ერთად, სხვა საკრავების, როგორც არჩევითი საგნების სილაბუსების შემუშავება და დამატება პროგრამაში;
3. სურველია, სასწავლო კურსებში -მუსიკისთეორიისსწავლებისმეთოდიკა, ქართული ხალხური სიმღერის სწავლების მეთოდიკა აისახოს და სილაბუსშიც გამოვლინდეს მათი ორიენტაცია მასწავლებლის აღზრდის პრაქტიკულ მხარეზე;
4. კურსების - განათლების ფსიქოლოგია, მუსიკის თეორიის სწავლების მეთოდიკა, სამუსიკო ფსიქოლოგია და პედაგოგიკა, მუსიკის დიდაქტიკა და რიტმიკა სასწავლო მასალას დაემატოს თანამედროვე ლიტერატურა;
5. სავალდებულო საკრავის - ფორტეპიანოს სილაბუსში მასწავლებლის საქმიანობიდან გამომდინარე დასამატებელია - შეუძლია საკუთარი ან სხვისი სიმღერის, საკრავზე შესრულების აკომპანირება;
6. მუსიკის სწავლების სტანდარტის, ქართული ხალხური სიმღერის სწავლების მეთოდიკის სილაბუსში შეფასების კომპონენტები და რუბრიკები არათანმიმდევრულია;
7. კურსიდან შესავალი პედაგოგიურ პროფესიაში სწავლების პრაქტიკული შედეგები, სასურველია, გადავიდეს პედაგოგიური პრაქტიკის კურსებში;
8. დეპარტამენტში შედგენილი პროფესორ-მასწავლებელთა კონსულტაციების განრიგი, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის შიდა ელექტრონულ ბაზაში და დეპარტამენტის საინფორმაციო დაფაზე, სასურველია, აისახოს სილაბუსებშიც;

9. სასურველია, პროგრამის განვითარებისათვის მესვეურებმა ხელი შეუწყონ მიწვეულ პერსონალს კარიერულ წინსვლაში. დასაზუსტებელია ასევე სხვა უსდ-ში აკადემიური პოზიციის მქონე პერსონალის სტატუსიც;
10. პროფესორ-მასწავლებლების და სტუდენტთა ეფექტიანი მუშაობისათვის: 1) ამოქმედდეს კორპორაციული მეილების სისტემა და 2) გამარტივდეს წვდომა ელექტრონულ ბიბლიოთეკაზე;
11. გაიწეროს, როგორ ხდება სწავლების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზი და გათვალისწინება;
12. ლექციაზე დაკვირვების ფორმა ამოღებულ იქნას დოკუმენტაციიდან.

3.მესამე საკითხი : სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფია, ტერმინოლოგია და თანამედროვე ტექნოლოგიების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ლექსიკოგრაფია, ტერმინოლოგია და თანამედროვე ტექნოლოგიები Lexicography, Terminology and Modern Technologies
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ლექსიკოგრაფიის მაგისტრი Master of Lexicography
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 ენის დაუფლება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 32, 0179, თბილისი, საქართველო (უნივერსიტეტის A, B, C და D კორპუსები)
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა - ირინა ლობჟანიძემ
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტები სპოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა 2022 წლის 14 ივლისს, ძირითადად, დასწრებულ ფორმატში, თუმცა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, მომიჯნავე სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების ჩატარება საჭირო გახდა ჰიბრიდულად, ელექტრონული პლატფორმა ZOOM-ის გამოყენებით.
ვიზიტის დროს დადასტურდა "ლექსიკოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და თანამედროვე ტექნოლოგიების" პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაციის სიზუსტე. აღსანიშნავია, რომ ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო პროგრამის ის ძლიერი მხარეები, რომლებიც თვითშეფასების ანგარიშში მკაფიოდ არ იყო წარმოჩენილი. შეფასების შედეგები აისახა დასკვნის პროექტში. ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა ორი რეკომენდაცია, რომლებიც შეეხებოდა პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული უცხოური ენის კურსებს და ქართულ ენაში ცოდნის გაღრმავებას. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა გაიზიარა მეორე რეკომენდაცია, არჩევითი საგნების ჩამონათვალს დაამატა სასწავლო კურსი „ენა და სტილი" და წარმოადგინა შესაბამისი სილაბუსი, რომლის მიზნები, სწავლის შედეგები და შინაარსი სრულად შეესაბამება ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციას, რაც ძალიან მისასალმებელია, მაგრამ ექსპერტებმა შესაბამისი რეკომენდაცია ძალაში დატოვეს სააკრედიტაციო რეგულაციებიდან გამომდინარე (არჩევითი საგნის დამატება მოხდა სააკრედიტაციო ვიზიტის შემდეგ). ექსპერტები გაეცნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას, მაგრამ ძალაში დატოვეს რეკომენდაცია არჩევითი საგნების ფარგლებში უცხოური ენის სწავლების კომპონენტის გაძლიერებასთან დაკავშირებით.
მნიშვნელოვანია ასევე, რომ "ლექსიკოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და თანამედროვე ტექნოლოგიების" სამაგისტრო პროგრამის ძლიერი კავშირი სახელმწიფო ენის სტრატეგიასთან; მოხდა, ასევე, ლექსიკოგრაფიის დარგობრივი მახასიათებლის მომზადება საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან

თანამშრომლობით. ღნიშნული კი მნიშვნელოვანი ზეგავლენას ახდენს ლექსიკოგრაფიის, როგორც დამოუკიდებელი დარგის სწავლების უზრუნველყოფაზე.
უნივერსიტეტში დაფუძნებულია ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრის საქმიანობა და თანამშრომლობა ლექსიკოგრაფიის ევროპულ სამაგისტრო პროგრამა EMLex-თან; უნივერსიტეტში დანერგილია ინტერნაციონალიზაციისა და კვლევების განვითარებისთვის აუცილებელი ინსტიტუციური მხარდაჭერის მექანიზმები; აღსანიშნავია, ასევე, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის (ცენტრალური ოფისის) და თითოეულ ფაკულტეტზე შექმნილი ხარისხის უზრულველყოფის სამსახურების მოქმედება ერთიანი საუნივერსიტეტო პოლიტიკისა და მიდგომების შესაბამისად, გამართული საქმიანობა უფლებამოსილებების სწორი დელეგირების (მათ შორის, ფაკულტეტის ფართო ავტონომიის), აქტიური თანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის პრინციპებზე დაყრდნობით
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლეკსიკოგრაფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შემდეგნაირად შეფასდა:
პირველი სტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1. სამაგისტრო პროგრამაში უცხო ენების არჩევითი კურსების ხანგრძლივობის გაზრდა ერთი სემესტრიდან სამ სემესტრამდე;
2. სამაგისტრო პროგრამის არჩევით საგნებს დაემატოს ისეთი სასწავლო კურსი, რომლის ფარგლებშიც მოხდება ქართულ ენაში ცოდნის გაღრმავება (გრამატიკის, თანამედროვე ქართული ენის ნორმებისა და სტილისტიკის მიმართულებით და სხვ.).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამის „ლექსიკოგრაფია, ტერმინოლოგია და თანამედროვე ტექნოლოგიები“ კურიკულუმი ითვალისწინებს უცხო ენის პრაქტიკული კურსის სწავლებას ერთი სემესტრის განმავლობაში. პროგრამა, მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით, ორიენტირებულია ლექსიკოგრაფიის შესწავლაზე და ენის პრაქტიკული კურსი არის დამატებითი შესაძლებლობა სტუდენტებისათვის გაიუმჯობესონ ენის ცოდნის დონე, მათი სურვილის შემთხვევაში. პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს უნდა ჰქონდეს სათანადო ენობრივი კომპეტენცია (B2), რაც პროგრამაზე დაშვების მოთხოვნებშია განსაზღვრული. ასეთი პირობის დაწესება უკავშირდება პროგრამის საჭიროებებს ჩარიცხულმა სტუდენტებმა შეძლონ ლინგვისტური ლიტერატურის დამუშავება ინგლისურ ენაზე. კურიკულუმით გათვალისწინებულ ყველა თეორიულ კურსში შეტანილი ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის დიდი ნაწილი ინგლისურენოვანია. პროგრამა, მისი სწავლის შედეგებიდან და შინაარსიდან გამომდინარე, არ ითვალისწინებს ენის კომპეტენციის განვითარებას, როგორც ეს არის გათვალისწინებული ენის დაუფლების პროგრამებზე.

რაც შეეხება ქართული ენის ცოდნის დახვეწას, აღნიშნული გათვალისწინებულია როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კურსებში, რომლებიც უშუალოდ სალექსიკონო სიტყვა სტატიების შედგენას ითვალისწინებს. მიუხედავად ამისა, დაწესებულებამ გაიზიარა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ პროგრამაზე შეიძლება მოვიდეს არა ფილოლოგიური განათლების კანდიდატი, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ქართულ ენასთან მიმართებით კომპეტენციის გაღრმავების საჭიროება. აქედან გამომდინარე, კურიკულუმის არჩევითი საგნების ჩამონათვალს დაემატა თეორიული კურსი: „ენა და სტილი“, რომელსაც კითხულობს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი თამარ სუხიშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა დააზუსტა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის საკითხი და მოუწოდა დაწესებულებას საკითხის განმარტებისკენ. ამასთან, წარმოდგენილი ბიუჯეტი პროგრამის მიხედვით გათვლილია 7 სტუდენტზე და ბიუჯეტი სრულდება მინუს 20 000 ლარით, შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რა სახსრებით აპირებს ინსტიტუცია პროგრამის განხორციელებას. მნიშვნელოვანია, ასევე, შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებში გამოკითხული დამსაქმებლები და საინტერესოა, თუ რამდენად ვალიდურია და საკმარისია 5 პირის გამოკითხვა.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართადაწესებულებისწარმომადგენლებსდაეფიქსირებინათსაკუთარი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა, განმარტა, რომ სამაგისტრო ნაშრომს ზოგადად ეყოლება ერთი ხელმძღვანელი, თუმცა შესაძლებელია მრჩეველთა საბჭოს ჩართულობა კონსულტაციებისა ან თანახელმძღვანელის დონეზე.
რაც შეეხება შრომის ბაზრის კვლევას, დაწესებულებას რამდენიმე წლიანი ურთიერთობა აკავშირებს ფინანსთა სამინისტროსთან, რომლებიც თარგმნიან აუდიტთან დაკავშრებულ საკმაოდ მნიშვნელოვან ლიტერატურას. ამასთან სტუდენტები, რომლებიც სწავლობდნენ ლექსიკოგრაფიას გადიოდნენ იქ სტაჟირებას. გარდა ამისა, დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობასთან, რომლის ფარგლებში მუშაობს ინგლისურ-ქართულ პარალელურ პროექტზე. მნიშვნელოვანია, ასევე, რომ სულაკაურის გამომცემლობას აქვს ლექსიკოგრაფიის განყოფილება, რომელმაც გამოსცა ქართული ენის განმარტებითი სასწავლო ლექსიკონი, ხოლო ახლა მუშაობენ უცხო ენათა ლექსიკონზე და, შესაბამისად, დაწესებულებაც აქტიურად განაგრძობს ამ კუთხით თანამშრომლობას.
ბიუჯეტთან დაკავშირებით დაწესებულებამ განმარტა, რომ ბიუჯეტი გათვლილია 7 სტუდენტზე და მთლიანი თანხა არის 52 000 ლარი, დეფიციტის ნაწილში მითითებულია 20 500 ლარი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის აკადემიური ნაწილის ხელფასზე რომელიც პროგრამისგან დამოუკიდებლად ფინანსდება ცენტრალური ბიუჯეტიდან. შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში რაიმე ფინანსუირ ხარვეზი არ იკვეთება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 16:55
დასრულებისდრო: 17:15

აბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შფასება.

საბჭოსთავმჯდომარემკენჭისყრაზედააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფია, ტერმინოლოგია და თანამედროვე ტექნოლოგიების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:

მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფია, ტერმინოლოგია და თანამედროვე ტექნოლოგიების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

4.მეოთხესაკითხი : სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება 24, 22/01/2019
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	46
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0312, ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსიაიას ქ. №61
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება
√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხისზეპირიმოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემოწმება მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტების მიერ განხორციელდა ვიზიტის გარეშე. მონიტორინგის შემოწმების საფუძველია აკრედიტაციის საბჭოს შუამდგომლობა პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელების თაობაზე. ცენტრის დირექტორის ბრძანების თანახმად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი. ჯამში წარმოდგენილი იყო 6 რეკომენდაცია, საიდანაც ოთხი რეკომენდაცია დაწესებულების მიერ სრულად იქნა შესრულებული.
მნიშველოვანია, რომ პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; • მეორე სტანდარტის 2.3 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მთლიანობაში მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; • მესამე სტანდარტი არ შეფასდა • მეოთხე სტანდარტის 4.1 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, მთლიანობაში მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; • მეხუთე სტანდარტი არ შეფასდა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების ,,სტატისტიკური ანალიზი და პროგნოზირება", ,,ემპირიულ მონაცემთა ანალიზის" და ,,სადისერტაციო ნაშრომის წერა" ლიტერატურის განახლება; (აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია)
2. რეკომენდებულია, სასწავლო კურსის ,,სტატისტიკური ანალიზი და პროგნოზირება" სადოქტორო დონესთან შესაბამისობაში მოყვანა; (აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია)
3. რეკომენდებულია, დისერტაციის მინიმალურ სტანდარტებში და ასევე გაფორმების ინსტრუქციაში მკაფიო განისაზღვროს დისერტაციის ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორიცაა კვლევის მეთოდოლოგია; (აღნიშნული რეკომენდაცია არ არის შესრულებული)
4. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს ქმედითი მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს „გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა, რომლებიც ინგლისურ ენაზე აქვეყნებენ ნაშრომებს შესაბამის საერთაშორისო ჟურნალებში. (აღნიშნული რეკომენდაცია არ არის შესრულებული)
5. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შექმნას ქმედითი მექანიზმი გააძლიეროს მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, რომელიც ინდექსირებულია Web of Science (Clarivate Analytics); Scopus (Elsevier) ბაზებში, შრომების გამოქვეყნების უზრუნველსაყოფად. (აღნიშნული

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა	შ ე ს რ უ ლ ე ბ უ ლ ი ა)

6. რეკომენდებულია, შემუშავდეს სადოქტორო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სწავლის შედეგების ეფექტური მონიტორინგის მექანიზმი (აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია)

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შექმნილმა ჯგუფმა იმუშავა და სრულად შეასრულა საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ უკვე შეიტანა და განმარტა, რომ შესავალ ნაწილში აუცილებლად უნდა იყოს მოცემული კვლევის მეთოდოლოგია.

რაც შეეხება აკადემიურ პერსონალს, რეკომენდაცია აუცილებლად იქნება გათვალისწინებული, ამასთან ხშირად ტარდება კონკურსები და ბიუჯეტშიც შესაბამისი სახსრები არის. დაწესებულება მზად არის გაითვალისწინოს რეკომენდაციები და განსაზღვროს შესაბამისი ცვლილებები.

სხდომაზეგამოცხადდასათათბიროშესვენება
დაწყებისდრო: 17:35
დასრულებისდრო: 17:45

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება

5.მეხუთესაკითხი : სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული სტომატოლოგი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება 750413, 31/08/2020
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული სტომატოლოგი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0911 დენტალური მედიცინა
12	სწავლების ენა	რუსული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300
14	განხორციელების ადგილი	ვაჟა-ფშაველასგამზ., 33, 0177(0186), თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება

√ არა

საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა- ხათუნა თოდაძემ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხისზეპირიმოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 30 მაისს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული დოკუმენტების შესწავლის შემდეგ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის (რუსულენოვანი) პროგრამის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ინტერვიუები მიმდინარეობდა მშვიდ, თანამშრომლობით გარემოში, წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით, რეგლამენტის დაცვით. შედგა პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება (სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, ბაზები პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის) სამუშაო დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა მოახდინა ძირითადი მიგნებების წინასწარი პრეზენტაცია უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან.

საგანმანათლებლო პროგრამასა და სილაბუსებში სწავლის შედეგები ჩამოყალიბდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №69/ნ შესაბამისად. განხორციელდა შეფასებისას ქულების მინიჭების კრიტერიუმების დეტალიზაცია. დაკონკრეტდა საკონსულტაციო საათები.

განხორციელდა პირის ღრუს, თავისა და კისრის ონკოლოგიის დეპარტამენტის გაერთიანება ყბა-სახის ქირურგიის დეპარტამენტთან. გაერთიანდა კლინიკური ორთოპედიული სტომატოლოგიის და ფანტომური ორთოპედიული სტომატოლოგიის დეპარტამენტები და შეეცვალა სახელწოდება. დეპარტამენტს დაერქვა ორთოპედიული სტომატოლოგიის დეპარტამენტი. 2021-2022 სააწავლო წლიდან II სემესტრში დაემატა „სადიაგნოსტიკო და სამკურნალო მეთოდების ფიზიკური საფუძვლები სტომატოლოგიაში“ – 2 კრედიტი.

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შემდეგნაირად შეფასდა:

პირველი სტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული სამუშაოსათვის და განაცხადა, რომ მათთვის ღირებულის ექსპერტთა თვითოეული მოსაზრება და მომავალშიც გააგრძელებენ მუშაობას პროგრამის განვითარებისათის და მზაობას გამოხატავენ გაიზიაროთ თვთოეული რჩევა თუ მოსაზრება რაც შეფასების პროცესის მიმდინარეობისას იყო გამოთქმული.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 17:45
დასრულებისდრო: 18:08

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2027 წლის 31 დეკემბრამდე.

6.მექვსესაკითხი : ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებულიგადაწყვეტილება 202, 07/12/2018
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 სამართალი
12	სწავლების ენა	ქართული

13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ, N 53ა
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

7.მეშვიდესაკითხი : ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებულიგადაწყვეტილება 42, 10/07/2017
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 სამართალი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ, N 53ა
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება

√ არა

საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე და მე-7 საკითხების ზეპირიმოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოსთავმჯდომარემსთხოვაექსპერტთაჯგუფსწარმოედგინათმათიპოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ დისტანციურად, დაწესებულების მიერ მოწოდებული მასალების/ინფორმაციის შესწავლა-შეფასების შედეგად დადგინდა, რომ ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ბაკალავრიატის და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები სრულად შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების შეფასებულ სტანდარტებთან (სტანდარტები: 1, 2, 4). ამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას მხოლო ერთი რჩევა გაიცა, რომელიც ეხებოდა სასწავლო კურსებში ძირითადი ლიტერატურის განახლება, კერძოს აღნიშნული რჩევა შეეხებოდა "შრომის სამართლის" სილაბუსს და "საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლის" სილაბუსს, ხოლო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ გაცემული იგივე რჩევა ეხებოდა "შედარებითი კერძო სამართალის", "შედარებითი სანივთო სამართალის", "შედარებითი სახელშეკრულებო სამართალის" სილაბუსებში უცხოური ლიტერატურის განახლებას

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი მოსაზრება.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისათვის და განაცხადა, რომ იზიარებენ მათ მიერ გაცემულ რჩევას და აუცილებლად მიხდება სილაბუსების გადახედვა და ლიტერატურის განახლება.

.

სხდომაზეგამოცხადდასათათბიროშესვენება

დაწყებისდრო: 18:10

დასრულებისდრო: 18:20

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა

ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება და მიჩნეულ იქნა, რომ „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება და მიჩნეულ იქნა, რომ „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 08 აგვისტოს 18:25 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით